სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/87

ქ. თბილისი

30 ივნისი 2020

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებისა“ და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების“ ცვლილების შესახებ“

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის №2324 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის ე) ქვეპუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ე) სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან სულ მცირე ერთი უნდა იყოს თანაავტორების გარეშე). ერთ-ერთი ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაცემულია უცხოურ მაღალრეიტინგულ,

რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიღებულია დადებითი დასკვნა და წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია; აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება); გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია, დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ; დოქტორანტის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თანაავტორების გარეშე სულ მცირე ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების შესახებ ამოქმედდეს 2020-2021 სასწავლო წლიდან).“

2. შევიდეს ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების“ მე-10 მუხლის მე-11 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. დოქტორანტი ვალდებულია, ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენამდე წარმოადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან სულ მცირე ერთი უნდა იყოს თანაავტორების გარეშე). ერთ-ერთი ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაცემულია უცხოურ მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიღებულია დადებითი დასკვნა და წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია; აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება); გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია, დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ; დოქტორანტის მიმართ წაყენებული მოთხოვნა თანაავტორების გარეშე სულ მცირე ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების შესახებ ამოქმედდეს 2020-2021 სასწავლო წლიდან).“

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე